

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №

ქალაქი ბათუმი _____ აგვისტო, 2021 წელი

„მუნიციპალური პროგრამის „ხელმისაწვდომი საცხოვრისი“ განხორციელების მიზნით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 19 სექტემბრის N73 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 63-ე მუხლის შესაბამისად,

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

1. „მუნიციპალური პროგრამის „ხელმისაწვდომი საცხოვრისი“ განხორციელების მიზნით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 19 სექტემბრის N73 განკარგულებაში შევიდეს ცვლილება და განკარგულების პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოს მიეცეს თანხმობა განხორციელოს შერჩეული ოჯახებისათვის პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით 15 წლის ვადით საცხოვრებელი ბინების გადაცემა, ბინის თვითღირებულების ქირის სახით დაფარვის სანაცვლოდ, თანახმად დანართისა.

2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქალაქი ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

სულიკო თებიძე

გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

პროექტის სახელწოდება და სათაური

„მუნიციპალური პროგრამის „ხელმისაწვდომი საცხოვრისი“ განხორციელების მიზნით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 19 სექტემბრის N73 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი

ა) ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ

ა.ა) პროექტის მიღების მიზეზი და მიზანი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ 2019 წლის 19 სექტემბერს გამოიცა N73 განკარგულება „მუნიციპალური პროგრამის „ხელმისაწვდომი საცხოვრისი“ განხორციელების მიზნით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ“, რომელიც ძირითადად შეეხება პროგრამით მოსარგებლე ბენიფიციართა შერჩევის და ბინების გადაცემის საკითხებს.

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის 2021 წლის 30 ივლისის №14.14212114 ბრძანებით დამტკიცებული იქნა ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის 2020 წლის 21 თებერვლის №165 ბრძანების მე-11 პუნქტის შესაბამისად შექმნილი კომისიის 2021 წლის 06 ივლისის სხდომის ოქმის (გადაწყვეტილება) შედეგები და შერჩეული იქნა მუნიციპალური პროგრამით „ხელმისაწვდომი საცხოვრისი“ მოსარგებლე ოჯახები. ამავე ბრძანების საფუძველზე ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის და ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურმა უზრუნველყო მუნიციპალური პროგრამით „ხელმისაწვდომი საცხოვრისი“ მოსარგებლე ოჯახებისათვის გადასაცემი ბინების შერჩევა ლოტოტრონის წესით. 2021 წლის 30 ივლისის №14.14212114 ბრძანების მე-3 პუნქტის თანახმად, შერჩეული ოჯახებისათვის ბინების გადაცემის შესახებ ხელშეკრულების დადების მიზნით ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს უნდა წარედგინოს საკითხი ქ. ბათუმის მერისათვის თანხმობის გაცემის თაობაზე.

შესაბამისად, უნდა შევიდეს ცვლილება „მუნიციპალური პროგრამის „ხელმისაწვდომი საცხოვრისი“ განხორციელების მიზნით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ“ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 19 სექტემბრის N73 განკარგულებაში და განკარგულების პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტს დაერთოს გადასაცემი ბინების ლოტოტრონის წესით შერჩეულთა სია (დანართი).

ა.ბ) პროექტის ძირითადი არსი:

წინამდებარე პროექტის მიღების ძირითადი არსია „მუნიციპალური პროგრამის „ხელმისაწვდომი საცხოვრისი“ განხორციელების მიზნით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ“ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 19 სექტემბრის N73 განკარგულებაში ცვლილების შეტანა –განკარგულების პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტში გადასაცემი ბინების ლოტოტრონის წესით შერჩეულთა სიის დამატება (დანართი).

ბ) პროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

პროექტის განხორციელება არ მოითხოვს დამატებით ფინანსურ ხარჯებს.

ბ.ბ) პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე:

პროექტის განხორციელებით გაიზრდება ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი.

გ) პროექტის შესაბამისობა უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“;
„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“;

დ) პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

ე) პროექტის ავტორი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახური.

ვ) პროექტის ინიციატორი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია.

ზ) განმარტებითი ბარათის მომზადებაზე უფლებამოსილი პირის თანამდებობა, სახელი, გვარი და ხელმოწერა:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის
მუნიციპალური ქონების და სერვისების
მართვის სამსახურის უფროსის
მოვალეობის შემსრულებელი

დავით კოპინაძე

ქ. ბათუმი, ივანე ჯავახიშვილის ქ. N78 ბ (კორპუსი "გ")

N	სახელი, გვარი	პირადი ნომერი	სულადობა	ოთახების რაოდენობა	ბინა N	ფართი (კვ.მ.)	სართული	საკადასტრო კოდი	შენიშვნა
1	მამუკა ცენტერაძე	61005005877	4	2	1	56,47	1	05.26.02.015.02.001	
2	ლუიზა ფალავანდიშვილი	61007000878	5	3	2	72,92	1	05.26.02.015.02.002	
3	მერაბ ზოიძე	61004044979	4	2	3	56,5	1	05.26.02.015.02.003	
4	ნათია ფარსენაძე	61006066558	2	1	4	34,55	1	05.26.02.015.02.004	
5	ნათია თოიძე	33001029917	4	2	5	59,85	2	05.26.02.015.02.005	
6	პაატა გეგიძე	61301097143	5	3	6	76,81	2	05.26.02.015.02.006	
7	ნანა ვარშალომიძე	61001041655	4	2	7	59,82	2	05.26.02.015.02.007	
8	ნატო ხინკილაძე	61006042558	2	1	8	38,17	2	05.26.02.015.02.008	
9	ბოლქვაძე თინათინ	61001031957	4	2	9	60,21	3	05.26.02.015.02.009	
10	ცისანა ბერიძე	61001050928	5	3	10	76,91	3	05.26.02.015.02.010	
11	თამაზ ველიაძე	61006009385	3	2	11	59,97	3	05.26.02.015.02.011	
12	ნათელა ბერიძე	61001070730	2	1	12	38,28	3	05.26.02.015.02.012	
13	ირინე ლასტენკო	61002010091	4	2	13	59	4	05.26.02.015.02.013	
14	ბესიკ ირემაძე	33001067785	6	3	14	76,18	4	05.26.02.015.02.014	
15	მამუკა ფალავანდიშვილი	61005000002	3	2	15	58,76	4	05.26.02.015.02.015	
16	მანანა დობორჯგინიძე	61001040584	1	1	16	37,64	4	05.26.02.015.02.016	
17	შორენა კეკელიძე	61010000802	3	2	17	60,03	5	05.26.02.015.02.017	
18	გოჩა ზოსიძე	26001010606	5	3	18	76,62	5	05.26.02.015.02.018	
19	ია ქარჩავა	61001037652	4	2	19	59,2	5	05.26.02.015.02.019	
20	მაია მალაყმაძე	61002001483	2	1	20	38,06	5	05.26.02.015.02.020	

ქ. ბათუმი, ივანე ჯავახიშვილის ქ. N 78 ბ (კორპუსი "დ")

N	სახელი, გვარი	პირადი ნომერი	სულადობა	ოთახების რაოდენობა	ბინა N	ფართი (კვ.მ.)	სართული	საკადასტრო კოდი	შენიშვნა
1	ედნარ ჯიხაძე	61001049679	4	2	1	56,64	1	05.26.02.015.01.001	
2	სოფიო მორთულაძე	61006070404	5	3	2	72,83	1	05.26.02.015.01.002	
3	ირინე ჭარხალაშვილი	61001009865	4	2	3	56,45	1	05.26.02.015.01.003	
4	ლამარა ბაკურიძე	61001069047	2	1	4	34,67	1	05.26.02.015.01.004	
5	ირა ფარტენაძე	61006027252	3	2	5	59,97	2	05.26.02.015.01.005	
6	თამაზი ხოზრევანიძე	61001011370	5	3	6	76,63	2	05.26.02.015.01.006	
7	ოლღა ჩავლეშვილი	61001016967	4	2	7	59,57	2	05.26.02.015.01.007	
8	დავით ვერძაძე	61006070815	2	1	8	37,86	2	05.26.02.015.01.008	
9	ომარ ცეცხლაძე	61001026056	3	2	9	59,95	3	05.26.02.015.01.009	
10	ცირა საფარიძე	61001026909	5	3	10	76,37	3	05.26.02.015.01.010	
11	ლალი ყაჭვიშვილი	61001054001	3	2	11	59,67	3	05.26.02.015.01.011	
12	მანანა ჯაფარიძე	61001002693	2	1	12	37,89	3	05.26.02.015.01.012	
13	ნათია რაზმაძე	61002004162	4	2	13	60,66	4	05.26.02.015.01.013	
14	ბადრი წულუკიძე	61004001279	6	3	14	76,05	4	05.26.02.015.01.014	
15	სოფო ჯაყელი	35001112740	3	2	15	59,69	4	05.26.02.015.01.015	
16	იზოლდა ანთიძე	61003010242	2	1	16	37,95	4	05.26.02.015.01.016	
17	თეონა ლამბაშიძე	56001010444	3	2	17	60,44	5	05.26.02.015.01.017	
18	ფირუზ მექვაბიშვილი	33001012383	7	3	18	76,33	5	05.26.02.015.01.018	
19	თეიმურაზ პაპაძე	61001019714	3	2	19	59,86	5	05.26.02.015.01.019	
20	ეკატრინე გუგუნავა	61001037352	2	1	20	38,33	5	05.26.02.015.01.020	